პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 ივნისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 116 (9527) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

ლერი ხაბელოვი— სსრ კავშირის ჩემპიონი



ვორონეჟი. აქ დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ოქროს მედლები მოიპოვეს: კრასნოიარსკელმა სერგეი კარამჩაკოვმა (48 კგ), ორჯონიკიძელმა ვლადიმერ ტოგუზოვმა (52 კგ), მახაჩყალელმა რუსლან ყარაევმა (57 კგ), მოსკოველმა ხაზარაგ ისაევმა (62 კგ), კრასნოიარსკელმა აბდულა მაგომედოვმა (68 კგ), გროზნოელმა ადლან ვარაევმა (74 კგ), კრასნოიარსკელმა ვლადიმერ მოდოსიანმა (82 კგ), ტაშკენტელმა მახარბეკ ხადარცევმა (90 კგ), თბილისელმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ) და ტაშკენტელმა ასლან ხადარცევმა (130 კგ).

როგორც ხედავთ, ჩემპიონატის მთავარი ჯილდოები შვიდი ქალაქის მოჭიდავეებმა გაინაწილეს. სხვებზე უკეთ კრასნოიარსკელი და ტაშკენტელი ათლეტები გამოვიდნენ. მათ შესაბამისად სამი და ორი უმაღლესი ჯილდო ხვდათ.

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 13 ივნისი. „ფეხბურთზე — გულახდილად“. გაზეთის კორესპონდენტის ლ. ლებედევის შეკითხვებს პასუხობს კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი.

„ტრუდი“ — 14 ივნისი. „ჰადრაკი არდადეგების გარეშე“. ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან.

„სოვეტსკი სპორტი“ — 7 ივნისი. სამშობლოში მას „გოლების გამტან მანქანას“ ეძახიან. ნაკრებში ნათამაშებ 26 მატჩში მან 21 გოლი გაიტანა. გაზეთის მკითხველების შეკითხვებს პასუხობს გარი ლინეკერი.

14 ივნისი. „პასოდობლი“ — ასე ეწოდება ე. მიასნიკოვის წერილს, რომელშიც კოთიდაზეა საუბარი.

თასი— კიევველებს

14 ივნისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 1987 წლის საფეხბურთო თასის გათამაშების ფინალური მატჩი. საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ კიევისა და მინსკის დინამოელები, თამაშს 75 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ეს შეხვედრა მეტად საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა. თამაშის ბოლო წუთებზე კიეველები მატჩს ანგარიშით 1:3 აგებდნენ, მაგრამ ძალების სრული დაძაბვის მეოხებით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მერე კი დამატებითი 11-მეტრიანების სერიით გამარჯვებასაც მიაღწიეს.

პირველი გოლი, მეტოქეთა მცველის კუზნეცოვის უხეში შეცდომის შემდეგ, მინსკელმა კონდრატიევმა გაიტანა მე-20 წუთზე. ტაიმის ბოლო, 45-ე წუთზე, რაცმა კარგად გამოიყენა ფლანგური გადაცემა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1. იმავე 45-ე წუთზე კიეველთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, დარტყმა ზუსტად შეასრულა ზიგმანტოვიჩმა — 2:1.

შესვენების შემდეგ მინსკელები კიდევ უფრო დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა ალეინიკოვმა) და ამ სიტუაციაში მინსკელთა გამარჯვება, თითქოს, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ 83-ე წუთზე კუზნეცოვმა შორი მანძილიდან ბურთი უძლიერესი დარტყმით გაგზავნა მაღალ კუთხეში, მატჩის ბოლო წუთზე კი ზავაროვმა ანგარიში გაათანაბრა — 3:3.

დამატებით დროში მეტოქეებმა ვერ შეძლეს ბურთის გატანა, მატჩის შემდგომი 11-მეტრიანები კი კიეველთაგან ზუსტად გამოიყენეს დემიანენკომ, მიხაილიჩენკომ, ბალტაჩამ და ევტუშენკომ (მინსკელთაგან — მეტლიცკმ და კურნენინმა) — 4:2. დამატებითი პენალტების წყალობით გამარჯვება კიეველებს დარჩათ საერთო ანგარიშით 7:5. მათ მერვედ მოიპოვეს სსრ კავშირის თასი.

მატჩი კარგად ჩაატარა მოსკოველ მსაჯთა ბრიგადამ (ვ. ბუტენკო, ს. ჰუსაინოვი, ა. კირილოვი).

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

პირველი სტარტი— 18 ივნისს

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშების ძირითად შეჯიბრებებს ახლა მხოლოდ ერთი თვე გვაშორებს, თუმცა პირველი სტარტი კარს მოგვადგა — 18 ივნისს თბილისის განათლების სამმართველოს საცურაო აუზში (საირმის ქუჩაზე) დაიწყება თამაშების პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ასპარეზობა. დაახლოებით სამკვირიანი შესვენების შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებმებიან სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც. წყალბურთელებისგან ესტაფეტას მიიღებენ სპორტული ტანვარჯიშის ოსტატები. ასპარეზობა დაიწყება 14 ივლისს ბათუმში. 28 ივლისიდან იქვე გაიმართება შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. ამრიგად, ბათუმი ორ ასპარეზობას უმასპინძლებს. ასევე ორი შეჯიბრება ჩატარდება სოხუმში — ტყვიის სროლასა (4-9 აგვისტო) და ფრენბურთში (გოგონები, 21-29 ივლისი). ქუთაისში იასპარეზებენ მოფარიკავეები (1-8 აგვისტო) და მოკრივეები (21-27 ივლისი), თელავში გამოვლენ ბადმინტონისტები (3-9 აგვისტო) და მაგიდის ჩოგბურთელები (24-29 ივლისი), თოთში — ნიჩბოსნები (ექიდარა და კანოე — 23-26 ივლისი, ჯადოსანი — 28-29 აგვისტო), ძალოსანთა შეჯიბრება ჩატარდება ცხინვალში (21-26 ივლისი), ძიუდოისტებისა — გორში (7-9 აგვისტო), მოცურავეებისა — ხობში (22-26 ივლისი), მოჭადრაკეებისა — სამტრედიაში (23-31 ივლისი), ფეხბურთელებისა — რუსთავსა და თბილისში (23 ივლისი — 2 აგვისტო). თბილისში გაიმართება აგრეთვე შეჯიბრებები ფრენბურთში (ჯაბუკები — 21-29 ივლისი), მძლეოსნობაში (22-24 ივლისი), საგზატკეცილო ველოსპორტში (23-26 ივლისი), სამბოში (25-28 ივლისი), ხელბურთში (27 ივლისი — 3 აგვისტო), კლასიკურ ჭიდაობაში (31 ივლისი — 3 აგვისტო), კალათბურთში (1-9 აგვისტო), ჩოგბურთში (2-9 აგვისტო), წყალში ხტომაში (4-8 აგვისტო), თავისუფალ ჭიდაობაში (6-9 აგვისტო).

სპორტულ ბაზებზე ცხადდება მზადყოფნა. ველით ინფორმაციებს ადგილებიდან. ყველაფერი უნდა ვიღონოთ თამაშების სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

რეპორტაჟი შეჯიბრების შესახებ

ერთვება

საქართველოს თასის გათამაშება ჩოგბურთში

ზონალური შეჯიბრების წინ

ჩოგბურთის სასახლეში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება სპორტულ სკოლებში მომეცადინე ჭაბუკებს შორის (რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით გოგონათა ამგვარი შეჯიბრება მოგვიანებით გაიმართება).

ეს იყო, ასე ვთქვათ, შესარჩევი შეჯიბრება სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური შეჯიბრების წინ, რომელიც ერევანში მოეწყობა. სტარტზე 5 გუნდი გამოვიდა — „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, თბილისის განათლების სამმართველოსა და კალინინის რაიონის სპორტსკოლის გუნდები.

ფინალში განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულმა ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლის ნაკრებმა ანგარიშით 4:1 მოუგო დინამოელებს და თასი დაისაკუთრა. აი, გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა: გია კუპრეიშვილი, დიმიტრი ტერტერიანი, გივი გორდაძე, იური მარჭაროვი და ლაშა კილასონიძე.

მესამე ადგილზე გავიდა „განთიადი“, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სძლია კალინინის რაიონის გუნდს — 4:3.

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ინფორმაცია

პარიზის გარეუბან სენ-დენის ტრეკზე გაიმართა ველოსიპედისტთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. სპრინტერ ქალთა ფინალურ რბოლაში კიეველმა ნატალია კრუშელნიცკაიამ აჯობა ლენინგრადელ გალინა ცაროვას და ფრანგ იზაბელ გოტერონს.

ამ სახეობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ლუტც ჰესლიჰმა (გდრ).

მიმდინარეობს საკავშირო კვირეული



მართალია, გრაფიკით კვირეული მხოლოდ საცურაო აუზებში ტარდება, მაგრამ, რაკი ამ დღეებში ამინდიც ხელსაყრელია, დედაქალაქის ცურვის მოყვარულებმა, მაგალითად, ლისის ტბასა და თბილისის ზღვასაც მიაშურეს. „ლელოს“ კორესპონდენტები გასულ კვირას ეწვივნენ თბილისის, ტყიბულის, გორისა და ბორჯომის საცურაო აუზებს. ბაზები უყელგან გამართულად მუშაობდა. ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთათვის.

კვირეული გრძელდება.



საქართაშორისო შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში

თბილისში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი საზოგადოებების შეჯიბრება ავტოსამოდელო სპორტში, სადაც წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი გამოდიოდა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა და უკან ჩამოიტოვა ავტოსამოდელო სპორტში ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.







სურათებზე (მარცხნიდან) თქვენ ხედავთ თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულებს: ილმარ ვესიალიკს (სსრ კავშირი), პეტერ ხაიკუსს (უნგრეთი) და ვლადიმირ სტრნადს (ჩეხოსლოვაკია).

წერილს ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

საქართველოს კპ ახალციხის რაიკომი გაცნობებთ, რომ „ლელოს“ 1987 წლის 21 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში რუბრიკით „მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ორთვიური“ — მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება.

ამჟამად სოფელ ღრელის სპორტული მოედანი აღდგენილია და მიმდინარეობს მისი კეთილმოწყობითი სამუშაოები. პარტიის რაიკომის ბიუროს შესაბამისი დადგენილებით რაიონის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელს მიეთითა, რათა უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა. დავალების შესრულების მიმდინარეობაზე დაწესებულია კონტროლი.

შ. შანიძე,
საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მდივანი.

ორთვიური დამთავრდა, მოედნების კეთილმოწყობა გრძელდება

ვაჯამებთ სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების შედეგებს

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: რედაქციაში ყველაზე მეტი საჩივარი ღია სპორტული მოედნების შესახებ თბილისის იმ რაიონებიდან შემოდის, სადაც შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გლდანის რაიონი სპორტული მოედნების რაოდენობით მხოლოდ საქარხნო რაიონს ჩამორჩება („ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ აქ ბევრი მოედანი კეთილმოეწყო). მიუხედავად ამისა, ერთბაშად სამი საჩივრის წერილი მივიღეთ — მოედნების მოწყობას ითხოვდნენ .და აი, გლდანის რაიონს უკვე მესამედ ვეწვიეთ.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ ზვიადაურს და საბინაო ტრესტის მმართველის მოადგილეს თეიმურაზ გურამიშვილს მე-7 მიკრორაიონში შევხვდით. მშენებლებს დასტრიალებდნენ თავს. მინიფეხბურთის ახალ მოედანზე დამამთავრებელი სამუშაოები მიმდინარეობდა.

— მარტო ამ მიკრორაიონში,— გვითხრა თეიმურაზ გურამიშვილმა, — 4 ახალი მოედანი მოვაწყეთ. თქვენმა კრიტიკულმა გამოსვლამ კარგი სამსახური გაგვიწია. რაიონში 12 მოედანი მოვაწესრიგეთ და 10 ახალი მოვაწყეთ. არ გეგონოთ, რომ გულხელდაკრეფილნი ვისხედით და მითითებას ველოდებოდით, მაგრამ კრიტიკამ გამოგვაცოცხლა. რაც შეეხება საჩივრის წერილებს, სჯობს ადგილზე ვნახოთ რა მდგომარეობაა. თუმცა, ამავე მიკრორაიონში, მე-10 კორპუსის წინ მდებარე ავტოსადგომის შესახებ თქვენ უკვე წერდით. განმარტებისთვის ვიტყვი, რომ იმ თანხით, რაც ჩვენს რაიონს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გასაშლელად ეძლევა, ერთი წლის მანძილზე მხოლოდ სამი სპორტული მოედნის მოწყობა შეიძლება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უარს ვიტყვით ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებზე და ინვენტარსაც არ შევიძენთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ორთვიურის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთეთ. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რაიონის საწარმო-დაწესებულებებს, რომლებმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ფაქტიურად მშენებლების მიერ დატოვებულ ხარვეზებს ვასწორებთ. მათ პროექტით გათვალისწინებული სპორტული მოედნები თავის დროზე რომ გაეკეთებინათ, ამდენი დავიდარაბა არ დაგვჭირდებოდა. გარჯა არ გვეზარება, მაგრამ საქმეს ფინანსების უქონლობა ართულებს.

— მე-10 კორპუსის ბინადართ რომ ავტოსადგომის ადგილზე მოედნის მოწყობა სურთ, არ გვიკვირს, — გვითხრა ნოდარ ზვიადაურმა, — მაგრამ ერთბაშად ყველას სურვილის დაკმაყოფილება არ შეგვიძლია. ამ კორპუსის ბავშვები უმოედნოდ არ დაგვიტოვებია. იქვე, მე-5 კორპუსთან მოვაწყეთ მინიფეხბურთის ახალი მოედანი „ამირანი“, კორპუსიდან 70-80 მეტრითაა დაშორებული ფეხბურთისა და კალათბურთის კომპლექსი „ჩირაღდანი“. მომჩივანთ დროებით ამ მოედნებით შეუძლიათ ისარგებლონ, სანამ ავტოსადგომს მოედნად გადავაკეთებდეთ.

მეორე საჩივარს პირველი მიკრორაიონის მე-6 კორპუსის ბინადარნი აწერენ ხელს. ადგილი დავათვალიერეთ და ვნახეთ, რომ აქ ღობის ბოძებისთვის უკვე ამოუთხრიათ ორმოები და მოედნის მოწყობას ივნისის ბოლოსთვის აპირებენ.

მესამე წერილის ანონიმი ავტორი კი გვატყობინებდა, მე-5 მიკრორაიონში, 22-ე კორპუსის წინ. მოედნის მაგივრად გარაჟს აშენებენო. თეიმურაზ გურამიშვილმა გვითხრა და კორპუსის ბინადრებმაც დაგვიდასტურეს, რომ გარაჟი მიწისქვეშ მოეწყობა, ზემოთ კი სპორტული მოედანი იქნება. იმავე წერილის ავტორი გვეკითხებოდა, ჩვენი კორპუსის წინ დიდი ცარიელი ადგილია და ხომ შეიძლება აქ .ფეხბურთის მოედანი გაკეთდესო. ეს ადგილი ჩვენც ძალიან მოგვეწონა საამისოდ, მაგრამ აღმასკომში გვითხრეს, რომ აქ ახალი კვარტალი უნდა გაშენდეს.

იმ დღეს გლდანის რაიონის ახალი სპორტული მოედნებიც დავათვალიერეთ. ნანახმა დაგვარწმუნა, რომ სპორტული ნაგებობების და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობის ორთვიურს რაიონში ნაყოფიერად ჩაუვლია. კარგია, რომ გლდანელები ასეთ დაინტერესებას და ენთუზიაზმს იჩენენ, ითხოვენ სპორტული მოედნების მოწყობას, ჩვენს ჩარევას, დახმარებას, მაგრამ აქ ერთ საყოველთაო ნაკლზე უნდა მივუთითოთ. სახელმწიფოს თითოეული მოედნის მოწყობა საკმაოდ ძვირი უჯდება, მოსახლეობა კი, ნაცვლად იმისა, რომ ამ მოედნებს გაუფრთხილდეს, დაუდევრობას იჩენს. რამდენ მოედანზე გვინახავს მორღვეული ღობე. იმიტომ, რომ მავანს კარებიდან შესვლა, ე. ი. ორი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა დაზარებია, ღობე გაურღვევია და „საკუთარი შესასვლელი“ გაუკეთებია. გვინახავს რგოლებდამძვრალი კალათბურთის ფარები, დანაგვიანებული მოედნები. სახლმმართველობების მუშაკები ყველაფერს როგორ აუვლენ? მოედნების მოვლა-პატრონობა მარტო სახელმწიფო დაწესებულებების საქმე როდია. თუ გაკეთება არ შეგვეძლია, მზამზარეულს მაინც ნუ გავაფუჭებთ.

ჯემალ კასრაძე.



სურათებზე: მარცხნივ—VII მიკრორაიონი. სახლმმართველობის გვერდით მინიფეხბურთის ახალი მოედანი გაკეთდა; მარჯვნივ — მუხიანის დასახლებას კიდევ ერთი სპორტული მოედანი შეემატა.



VII მიკრორაიონი, 29-ე კორპუსთან გარაჟის თავზე ეწყობა სპორტული კომპლექსი.

კარგი მომზადება გამოავლინეს

საბარეჯოში მოეწყო მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის მონაწილე ძიუდოისტთა ფინალური შეჯიბრება. ტატამზე გამოდიოდნენ: თბილისის, აჭარის, ქუთაისის, ახმეტის, გორის, თელავის, რუსთავისა და საგარეჯოს ნაკრები გუნდები, აგრეთვე ზონალურ პირველობაში გამარჯვებული სპორტსმენები და პრიზიორები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: მ. შუბითიძემ (თბილისი, მწვრთნელი — გ. ბოტკოველი), თ. კევლიშვილმა (საგარეჯო, ბ. მარიდაშვილი), ჯ. დეკანოსიძემ (თბილისი, ო. ნატრიაშვილი), გ. კირაკოზაშვილმა (საგარეჯო, ბ. მარიდაშვილი), კ. დონღვანმა (ლენტეხი, მ. ჭურასბედიანი), ნ. ჯალაბაძემ (გორი, გ. საბაშვილი), ვ. ავალიანმა (რუსთავი, მ. ჩიხრაძე), დ. ხახალეიშვილმა (ქუთაისი, ო. მერაბიშვილი).

შეჯიბრების ბევრმა მონაწილემ კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა. მათგან, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი, რუსთაველი ვეფხია ავალიანი, საგარეჯოელი გია კირაკოზაშვილი, ზესტაფონელი გია გაჩეჩილაძე და ახმეტელი ზურაბ სამუკაშვილი. ამ მოჭიდავეთა მზარდი ოსტატობა ყოველმხრივ უურადსაღებია და სამართლიან ქებასაც იმსახურებს.

მერაბ ბროძელი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ᲕᲝᲚᲔᲓᲔᲓ

ასპინძა

ჩატარდა რაიონის საწარმო-დაწესებულებათა პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 21 კოლექტივმა.

შეჯიბრება დაუმარცხებლად გაიხვლო და პირველი ადგილი დაიკუთრა სოფელ საროს ბლოკის ჭარხნის მუშათა გუნდმა. მეორე ადგილზე არიან ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის, მესამეზე— ბიზნავორის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

დათო ზედგენიძე.

როგორი უნდა იყოს სპორტული სახლი? განიხილავენ ახალ პროექტებს

სპორტნაგებობა ხის კორპუსში— ლამაზი და რაციონალური

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მეთორმეტე ხუთწლედში მსუბუქი ლითონის ან ხის კონსტრუქციებისგან დამზადებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების დაჩქარებული ტემპით მშენებლობის შესახებ. სპეციალისტებმა ბევრი ორიგინალური სპორტული ნაგებობის პროექტი დაამუშავეს. ერთ-ერთ მათგანს, „ჯანსს“, თქვენ უკვე გაეცანით. დღეს გთავაზობთ ბ. მეზენცევის სახელობის სანახაობრივი, სპორტული და ადმინისტრაციული ტიპობრივი და ექსპერიმენტული შენობებისა და ნაგებობების დაპროექტების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ პროექტს.

ხის მსუბუქი შეწებებული კონსტრუქციებისგან დამზადებული ნაგებობის სიგანეა 24 მ, ხოლო სიგრძე — 36 მ. საერთო ფართობი 900 კვადრატული მეტრია, მაგრამ შემკვეთის სურვილისამებრ შეიძლება მისი გადიდებაც. სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ სამშენებლო მოედანზე მჩატე ხის კონსტრუქციების გამოყენებისას სამუშაოთა შრომატევადობა მცირდება 25%-ით, ხოლო მშენებლობის ვადები — 50%-ით (იმასთან შედარებით, რაც სჭირდება აგურისგან ასეთივე ობიექტის აშენებას).

რა შეიძლება გაკეთდეს ასეთი შენობის ჰერქვეშ? უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სპორტული დარბაზი, ზომით 36X18 მ. დაგეგმარების სქემა მოცემულია № 1 ნახაზზე. მოდულში ჩაეტევა საცურაო აუზიც, რომლის აბაზანის ზომა იქნება 25X11 მ. დაგეგმარების სქემა მოცემულია № 2 ნახაზზე. ორი მოდულისა და 24X12 მ ზომის ჩასადგმელი ბლოკებისაგან შეიძლება შედგეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომლის დარბაზის ზომაა 36X18 მ, აუზისა კი — 25X11 მ. აქვეა სატრენაჟორო დარბაზიც.

დარბაზის ერთდროული გამტარუნარიანობა ასეთია — დარბაზს ერთ ცვლაში შეუძლია მიიღოს 40 ადამიანი, აუზს — 32, ხოლო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს — 80-მდე.

მოდულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დანიშნულების მიხედვით განსხვავებულია. დარბაზიანი სპორტნაგებობა, წინასწარი სამუშაოების ხარჯების გაუთვალისწინებლად, შეფასებულია 280 ათას მანეთად. აუზიანი სპორტნაგებობა დაახლოებით 320 ათასი მანეთი ღირს, ხოლო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი — 630 ათასი.



ნახაზი № 1.



ნახაზი № 2.

მსუბუქი ხის შეწებებული კონსტრუქციის დარბაზიანი (36X18 მ) ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კორპუსის სათავსების ექსპლიკაცია .

ნომერი	დასახელება	ფართობი (კვ. მ)
1.	სპორტული დარბაზი	648
2.	გახადსაცვლელები	44
3.	სამსახაურო	8
4.	საუნა	4
5.	სანკვანძები	10
6.	საშხაპეები	12
7.	სამედიცინო პუნქტი	10
8.	მწვრთნელთა ოთახი	10
9.	გარდერობი	12
10.	საინვენტარო	4
11.	საინჟინრო ბლოკი	14
12.	ბუფეტის დამხმარე სათავსი	2
13.	ადმინისტრატორის ოთახი	11
14.	დასახვენ. ზონა ბუფეტით	20
15.	ვესტიბიული	15
16.	გარდერობი	10
17.	ტამბური	6

მსუბუქი ხის შეწებებული კონსტრუქციის აუზიანი (25X11 მ) ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კორპუსის სათავსების ექსპლიკაცია.

ნომერი	დასახელება	ფართობი (კვ. მ)
1.	დარბაზი 25X11 მ	724
	აუზით და ტრენაჟორების ზონა	
2.	ვესტიბიული	21
3.	გარდერობი	15
4.	დასასვენებ. ზონა ბუფ.	20
5.	ადმინისტრატორის ოთახი	10
6.	ბუფეტის დამხმარე სათ.	5
7.	საინჟინრო ბლოკი	20
8.	გახადსაცვლელები	18
9.	საშხაპეები	20
10.	გარდერობი	18
11.	მწვრთნელთა ოთახი	10
12.	წყლის ანალიზის ლაბორ.	10
13.	სამედიცინო პუნქტი	6
14.	სამსახაურო	12
15.	საუნა	6
16.	სანკვანძები	12
17.	დასასვენებელი ზონა	6
18.	ტამბური	6

ნახაზი № 2.



ლიდერთა რიგებში სიჭიდროვა

კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურის პირველსავე დღეს გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა — უნივერსიტეტმა მარცხი განიცადა. ეს იყო ამ დღის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია და იგი „მართვეს“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა შემოგვთავაზა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა გუნდში საკმაოდ გამოცდილი კალათბურთელები თამაშობდნენ (ბოროდაჩოვი, ტიუბინი, ტალაბაძე, ძიძავა, ნათობიძე) „მართვემ“ პირველ ტაიმში შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს და ბრძოლა მხოლოდ 3 ქულით დათმო — 40:43.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ახალგაზრდა კალათბურთელები დაეუფლნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით კორძაძე და ორმოცაძე გამოირჩეოდნენ. „მართვემ“ ეს უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა და გაიმარჯვა — 88:80.

ამ მოგებამ გუნდს მთელი ძალა, ენერგია გამოაცალა და მომდევნო შეხვედრა სოხუმთან სუსტად ჩაატარა, მაგრამ ეს გარემოება სოხუმელთა გამარჯვებით მიღებულ შთაბეჭდილებას ოდნავადაც არ ანელებს. აფხაზეთის კალათბურთელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით — 92:79 (43:34).

მეორე ტურში უნივერსიტეტის კოლექტივს პრინციპული ბრძოლა ჰქონდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან — ფიზკულტურის ინსტიტუტთან. მატჩის ძირითადი დრო, რომელშიც ზუსტი სამქულიანი სროლებით თავი გამოიჩინა კაპუსტინმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) ფრედ 78:78 (41:43) დამთავრდა. დამატებით ხუთ წუთში უნივერსიტეტის გუნდი უფრო აქტიურად თამაშობდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 92:85 .

კარგად ატარებს ფინალურ ტურნირს „სინათლე“. მან უკვე ორი შეხვედრა მოიგო და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა, „სინათლემ“ ჯერ სოხუმის გუნდი დაამარცხა 97:86 (53:42), მერე კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები — 67:56 (32:33). სხვათა შორის ეს უკანასკნელი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებთანაც დამარცხდნენ — 72:81 (39:44).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სინ.“ თბ.	22	19	3	2010-1746	41
უნივ. თბ.	22	18	4	2150-1825	40
ფ. ინ. თბ.	22	17	5	1884-1693	39
სპი თბ.	22	16	6	1896-1787	38
„მარ.“ თბ.	22	12	10	1865-1764	34
სოხუმი	22	11	11	1921-1913	33



თამაშობენ „სინათლისა“ და სპი-ს კალათბურთელები

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).

თბილისი. 14 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჰედია, კუდინოვი, ყორდანია (ქორღალიძე, 30), გოგრიჭიანი, სულაქველიძე, უვანია, გურული, ჭეცბაია (შენგელია, 57).

მოსკოვი: უვაროვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, ხილკინი, მოროზოვი, დემიდოვი, ვასილიევი (კარატაევი, 89), კოლივანოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი (სკლიაროვი, 85).

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

ამ მატჩში თბილისის „დინამომ“ ერთი ქულის მოპოვება კი შეძლო, მაგრამ გულშემატკივართათვის ხასიათის გამოჟეთება ვერ მოახერხა. არადა, ჩვენი ფეხბურთელები, უდავოდ, ჯერ კიდევ ვალში არიან თავიანთ ქომაგებთან.

პირველმა ტაიმმა ერთობ უფერულად ჩაიარა. ერთადერთი შემთხვევა, როცა მაყურებლები ოდნავ გამოცოცხლდნენ, 36-ე წუთზე მოხდა: გურული შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ იგი უხეშად წააქციეს და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი. მაგრამ თბილისელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ეს საუკეთესო შესაძლებლობა, ჟვანიას დარტყმული ბურთი საკმაოდ იოლად მოიგერია უვაროვმა.

მოსკოველთა მეკარემ მეორე პენალტის დროსაც გამოიცნო ბურთის მიმართულება, ეს უკვე შესვენების შემდეგ, მაგრამ კარის გადარჩენა ამჯერად ვეღარ შეძლო — გურულმა ჟვანიასგან განსხვავებით ძლიერად და ზუსტად დაარტყა მიზანში.

სამწუხაროდ, 81-ე წუთზე გურულის მიერ 11 მეტრიდან გატანილი გოლი პირველი არ იყო ამ მატჩში. 62-ე წუთზე მოსკოველებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, დობროვოლსკი მეკარე გაბელიასთან პირისპირ გავიდა და უძლიერესი დარტყმით გაახსნა ანგარიში.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით ბოლო წუთებში, თბილისელები გამეტებით, მთელი შემადგენლობით მიაწყდნენ მეტოქის საჯარიმოს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით იმ ეპიზოდს, როცა 69-ე წუთზე გოგრიჭიანის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებს რეალური საფრთხე მეტოქის კარისთვის არც შეუქმნიათ.

ბოლო ორ მატჩში დაკარგული 3 ქულა მით უფრო საგრძნობია, რომ პირველი წრის ფინიშზე ჩვენს გუნდს ძნელი მატჩები მოელის მოსკოვში, იმავე „დინამოსა“ და ცსკა-სთან.

• • •

დინამოელთა 2.100-ე გოლი

თბილისისა და მოსკოვის დინამოელ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის გუშინწინდელ მატჩში თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა გ. გურულმა 11-მეტრიანით საპასუხო ბურთი გაიტანა მოსკოველ თანაკლუბელთა კარში.

ეს გოლი 2.100-ეა, რომელიც თბილისის დინამოელებმა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობის ისტორიაში გაიტანეს მეტოქეთა კარში.

თენგიზ მიქელაძე.

თბილისელ და მოსკოველ თანაკლუბელთა შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

14 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVI ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი შინ გამოდიოდა. ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **ოთარ მშვენიერაძე** გვატყობინებს ადგილობრივი „დინამოსა“ და ვორონეჟის „ფაკელის“ მატჩის შესახებ: მასპინძლებმა პირველ ტაიმში ვერ აჩვენეს მონდომებული, კოლექტიური თამაში, ბურთი უმეტესწილად მინდვრის შუაში ტრიალებდა და თუ სახიფათო მომენტებზე ვილაპარაკებთ, „ფაკელს“ ბურთის გატანის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე „დინამოს“. სტუმრების რამდენიმე კონტრშეტევის შედეგად დინამოელთა კარი ორჯერ აღმოჩნდა მეტად სახიფათო სიტუაციაში და ორივე შემთხვევაში ბალაძეს ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა, ბათუმელებმა უფრო გაბედულად, ენერგიულად შეუტიეს და ერთადერთ გოლს დასჯერდნენ, რომელიც გოგიტიძის გარღვევის შემდეგ გაიტანა გორგილაძემ, თუმცა, მეტის გაკეთებაც შეეძლოთ.

ბათუმის „დინამო“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ბალაძე, გოგიტიძე, თორღაშვილი, დურდიაძე, ჩიქობავა, ზედანია, კიკლიაშვილი, მაისურაძე, ბარათაშვილი, გორგილაძე, ვლასენკო (ათუაშვილი).

ჩვენმა ქუთაისელმა კორესპონდენტმა **თამაზ ხარაბაძემ** გვაცნობა ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ვოლგოგრადის „როტორის“ მატჩის შესახებ: „როტორი“, ისევე როგორც ქუთაისის „ტორპედო“, I ლიგის აუტსაიდერთა შორის იმყოფება, ამიტომ მასპინძლებსაც და სტუმრებსაც მხოლოდ წარმატება აძლევდა ხელს. მაგრამ, ამავე დროს, შესამჩნევი იყო, რომ ორივე გუნდი ზედმეტად ფრთხილობდა, მოთამაშეები ცდილობდნენ შეცდომა არ დაეშვათ, თამაშიც უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

გოლი, რომელმაც ტორპედოელებს მოუტანა გამარჯვება, 31-ე წუთზე გავიდა: „როტორის“ მხარეს დაინიშნა საჯარიმო, თვარაძემ ზუსტად და ძლიერად დაარტყა — 1:0.

I ლიგა

ტორპედოელთა შემადგენლობა: ტყებუჩავა, ტაბატაძე, თევზაძე, ლიქაძე, შაბათავა, ხუხლაშე (ფრუიძე), ციკარიშვილი, ხარაბაძე (გოგელიძე), ტყავაძე, თვარაძე (კვერნაძე).

მომდევნო ტურში ქუთაისის „ტორპედო“ ზაპოროჟიეში შეხვდება „მეტალურგს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ ნიკოპოლში ითამაშებს „კოლოსთან“. ორივე ეს მატჩი 18 ივნისს გაიმართება.

XVI ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 4:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)—„შინიკი“ (იაროსლავლი) 0:1, ასკ (დონის როსტოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	14	11	3	0	25-5	25
„ლოკომოტ.“	16	7	7	2	17-9	21
„კოლოსი“	16	9	2	5	22-15	20
„დაუგავა“	14	8	3	3	20-12	19
„როსტსელ.“	15	7	3	5	21-17	17
„კუზბასი“	16	6	5	5	15-10	17
ასკ რ.	15	7	2	6	13-16	16
„გეოლოგი“	15	6	4	5	17-11	16
„შინიკი“	15	6	4	5	10-12	16
„ფახთაქორი“	15	6	3	6	15-16	15
„პამირი“	15	5	5	5	18-16	15
„სპარტაკი“	15	5	5	5	11-11	15
„დინ.“ სტ.	15	5	4	6	14-21	14
„ზარია“	14	4	5	5	15-16	13
ასკ „კარპ“	15	4	5	6	14-17	13
„ტორპ.“ ქ.	15	4	5	6	11-14	13
„ფაკელი“	16	4	5	7	10-15	13
„კოტაიკი“	15	5	2	8	18-22	12
„მეტალურ.“	15	4	4	7	15-18	12
„დინამო“ ბ.	15	4	3	8	8-17	11
„როტორი“	16	4	2	10	17-27	10
„კრ. სოვ.“	15	3	3	9	11-20	

ფრანგების წარმატება

ტულონში დამთავრდა 21 წლამდე ასაკის იუნიორ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, მატჩის შემდგომი 11-მეტრიანებით წარმატება წილად ხვდა საფრანგეთის ნაკრებს — 9:8.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბრაზილიის გუნდები. პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა — 0:0, შესვენების შემდეგ ბრაზილიელმა ბისმარკმა გაიტანა ერთადერთი გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მის გუნდს.

ბანვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 3:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „მაღნეული“ (ბოლნისი) 0:0, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „სულორი“ (ვანი) 2:2, „დინამო“ (გაგრა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1.

მარადონამაც ვერ უშველა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის რეკლამის მიზნით, რომელიც 1990 წელს გაიმართება იტალიაში, მოაწყო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონისა და ამ ტიტულის 1982 წლის მფლობელ იტალიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. თამაში გაიმართა ციურიხში, მას 30 ათასი მაყურებელი დაესწრო.

მთელი სტადიონი ტაშით მიეგება გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელ პელეს, რომელსაც მატჩის დაწყების წინ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს ორდენი გადასცეს ფეხბურთში გაწეული დიდი ღვაწლისთვის.

იტალიელებმა განახლებული შემადგენლობით ითამაშეს და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. 26-ე წუთზე არგენტინელთა კარში ბურთი გაიტანა დე ნაპოლიმ, მცირე ხნის შემდეგ კი არგენტინელთა მცველმა გარემ საკუთარ კარში ჩაჰკრა ბურთი — 0:2.

მსოფლიო ჩემპიონებმა, რომლებსაც სათავეში თვით მარადონა ედგა (გუნდის შემადგენლობაში ამ ტიტულის მფლობელი 6 ფეხბურთელი გამოდიოდა), შესვენების შემდეგ რამდენიმე ძლიერი შეტევა განახორციელეს, ერთ-ერთი მათგანი 62-ე წუთზე საპასუხო გოლით დაამთავრა დიასმა. მაგრამ იტალიელებმა კიდევ ერთხელ იმარჯვეს და 88-ე წუთზე ვიალიმ ორთაბრძოლას საბოლოო წერტილი დაუსვა — 3:1.

ფიფა გეგმავს...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს სულ მალე, ივნისში, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამართოს არგენტინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, როგორც ცნობილია, ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ, მაშინ მექსიკის დედაქალაქში გამარჯვება არგენტინელებმა მოიპოვეს — 3:2 და ჩემპიონობაც გაიმარდეს. ეტყობა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ვარაუდობს, რომ ეს თავისებური სარევანშო მატჩი საინტერესო იქნება საფეხბურთო სამყაროსთვის.

ინგლისი — მსოფლიოს ნაკრები

ინგლისის საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბებიდან 100 წელი გავიდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ფეხბურთის სამშობლოში განზრახული აქვთ მოაწყონ საინტერესო საერთაშორისო მატჩი: ინგლისი — დანარჩენი მსოფლიო. დანიშნულია კიდეც შეხვედრის დღე, — 8 აგვისტოს, ლონდონის ცნობილ „უემბლიზე“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მხარი დაუჭირა ინგლისელთა იდეას და მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი, ინგლისელი მწვრთნელი ტონი ვენაიბლსი დანიშნა (იგი ამჟამად ესპანეთის „ბარსელონას“ უდგას სათავეში).

ტ. ვენაიბლსმა დაასახელა კიდეც ის ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში უნდა გამოიყვანოს: მეკარე სუბისარეტა (ესპანეთი); მცველები — ჟოსიმარი, ხულიო სეზარი (ორივე — ბრაზილია), რუჯერი (არგენტინა), ბეკერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა); ნახევარმცველები — ბატისტა (არგენტინა), ალბერტინი (იტალია), ამოროო (საფრანგეთი); ხავიერ დაცვა — გულიტა (ჰოლანდია), ჰოდლი (ინგლისი), მარადონა (არგენტინა), მათეუსი (გფრ); თავდამსხმელები — რაში (უელსი), ვან ბასტენი (ჰოლანდია).

არდილესი ინგლისში რჩება

მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი ერთი წლით რჩება ინგლისში.

სეზონის დამთავრების შემდეგ უნდა გამართულიყო ამ შესანიშნავი სპორტსმენის გამოსათხოვარი მატჩი: „ტოტენჰემ ჰოტსპური“— მსოფლიოს ნაკრები. მაგრამ, როგორც ჩანს, არდილესი ჯერ კიდევ კარგ სპორტულ ფორმაშია და არ აპირებს ფეხბურთისთვის თავის დანებებას.

16 ივნისი, 1976 წ.

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

ყველა ადგილი

ათენი. საბერძნეთის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის კალათბურთის ისტორიაში პირველად ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა, ფინალში მან სსრ კავშირის გუნდი დაამარცხა — 103:101. პირველი ტაიმი ჩემპიონატის მასპინძლებმა ერთი ქულით მოიგეს — 42:41. ძირითადი დრო კი ფრედ 89:89 დამთავრდა. ბრძოლა დამატებით ხუთ წუთშიც უაღრესად მძაფრი იყო და შეხვედრის ბედი ფაქტიურად ერთმა სროლამ გადაწყვიტა.

ადგილები ამ ტურნირში საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. საბერძნეთი, 2. სსრ კავშირი, 3. იუგოსლავია, 4. ესპანეთი, 5 იტალია, 6. გფრ, 7. პოლონეთი, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. საფრანგეთი, 10. ჰოლანდია, 11. ისრაელი, 12. რუმინეთი.

სპორტსმენებმა გამოფინეს ნამუშევრები

თბილისის სამხატვრო გალერეის სამ დარბაზში ბევრი მაღალმხატვრული ტილო, ქანდაკება და ჰედური ნამუშევარია გამოფენილი. დამთვალიერებელს, რომელიც ჩვენი დედაქალაქის სამხატვრო გალერეას არასოდეს აკლია, ვერაფრით გააკვირვებთ, მაგრამ თვითნასწავლ მხატვართა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მოსულთ აოცებდათ იმ ადამიანთა პროფესიონალიზმი, რომელთა პროფესია არ გახლავთ ფერწერა, ქანდაკება, ჰედურობა.

ჩვენი ინტერესი ამ გამოფენამ იმითაც მიიპყრო, რომ აგ გამოფენილია წარსულში ცნობილ ქართველ სპორტსმენთა ნამუშევრები. ვახტანგ მარსაგიშვილის — ყოფილი ტანმოვარჯიშის პეიზაჟებში მშობლიური მიწის დიდი სიყვარული იგრძნობა. თამაზ ანთაძემ წარმოადგინა სპორტსმენისათვის უჩვეულო მხატვრული ალღოთი შესრულებული პორტრეტები, პეიზაჟები, რომლებიც ფერის გრძნობით და სისადავით იქცევენ უურადღებას: გვჯერა მხატვრის, მისი განცდის, მის მიერ დანახულის. დამთვალიერებელთა უურადღებას იქცევდა ოთარ კვირიკაშვილის, დე ვალოის, ბედოშვილის და მოვნებით შესრულებული ჰედური ნამუშევრები, ქალის სამკაულები, სოსო ქიმაძის ხეში შესრულებული კომპოზიცია.





სურათებზე: თამაზ ანთაძისა (მარცხნივ) და ვახტანგ მარსაგიშვილის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები.

თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხური ოსტატების ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა მოეწყო კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო მეთოდური ცენტრის სახვითი ხელოვნების განყოფილების (გამგე — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გურამ გაბაშვილი) და პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით.

გამოფენა, რომელზეც დაახლოებით სამასი ავტორის 1000-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. საუკეთესო ნამუშევრები მოსკოვში საკავშირო გამოფენაზე გაიგზავნება.

მარინე ასათიანი.

შაბათს, ოკლენდში...

შაბათ-კვირას ავსტრალიაში გაიმართა მოუვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალური მატჩები.

სიდნეიში ჩემპიონატის ფავორიტებად აღიარებული ავსტრალიელი რეგბისტები 20 ათასი მაყურებლის თვალწინ ფრანგებთან დამარცხდნენ — 24:30 (9:6). 25-ე წუთისთვის ანგარიში იყო 9:0 ავსტრალიელთა სასარგებლოდ — ლაინაფმა ორი საჯარიმო და ერთი არეკნი შეაგდო. ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ფრანგებმა ლორიომ, სელამ და ლაჟისკემ სამი ლელო გაიტანეს, კამბერაბერომ ზუსტად დაარტყა საჯარიმო და სამივე რეალიზაცია. ავსტრალიელთაგან კი ქეფფიზიმ და ქოუდიმ გაიტანეს ლელო, რასაც ლაინაფის რეალიზაციები დაემატა. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე, როდესაც ანგარიში იყო — 21:21, ლაინაფმა უკანასკნელად დაწინაურა ავსტრალიელები. კრიტიკულ სიტუაციაში ფრანგებმა აღმავლობით ითამაშეს: ჯერ კამბერაბერომ საჯარიმოთი გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი, როცა მატჩის მეორე ნახევრის დაწყებიდან 43 წუთი იყო გასული, ბერბიზიემ და ბლანკომ თავიანთი 22-მეტრიანი მოედნიდან კონტრშეტევა წამოიწყეს, მათ წამოეშველნენ ლაჟისკე, ერბანი, გარუე, შარვე და როდრიგესი. ფრანგებმა თითქმის მთელი მოედანი გადასერეს და ბლანკომ გადამწყვეტი ლელო გაიტანა, კამბერაბერომ კი რთული პოზიციიდან ზუსტად დაარტყა რეალიზაცია.

ბრისბენში ახალზელანდიელებმა უელსელებს სძლიეს — 49:6. ამ მატჩამდე უელსის გუნდი ასეთი დიდი ანგარიშით არასდროს დამარცხებულა. უელსელ რიჩარდს მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მოედანი დაატოვებინეს. ეს ტურნირში პირველი გაძევებაა. გამარჯვებულებმა 8 ლელო გაიტანეს, გარე ნახევარმცველმა ფოქსმა საჯარიმო და 7 რეალიზაცია შეაგდო.

ამრიგად, ფინალში, რომელიც შაბათს გაიმართება ოკლენდში, ითამაშებენ ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის გუნდები. მანამდე კი, ხუთშაბათს, ავსტრალიისა და უელსის რეგბისტები როტორუაში (ახალი ზელანდია) იასპარეზებენ მესამე ადგილის მოსაპოვებლად.

საკუთარი ინფორმაცია.

მინირეგბი ჭაბუკთა თამაშია

მინირეგბი — ასე უწოდებენ ნორჩი რეგბისტების თამაშს. ისინი ჩვეულებრივი სათამაშო მოედნის ერთ ნახევარზე ასპარეზობენ. თითოეულ გუნდში თორმეტ-ცამეტი წლის 9 მოთამაშეა.

შაბათს, სტუდქალაქის სტადიონზე გამართული ფინალური მატჩით დამთავრდა რესპუბლიკის მორიგი პირველობა მინირეგბში 1974-1975 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის.

შეჯიბრებაში, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა, ყველას აჯობეს თბილისის განათლების სამმართველოს კომპლექსური სპორტსკოლის აღსაზრდელებმა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ამ სკოლის პირველი და მეორე გუნდები. ანგარიშით 24:12 გაიმარჯვა პირველმა გუნდმა.

ჩინეთის ჩირქიანი მეტოქე

შვედი იან-უვე ვალდნერი ერთადერთი ჩოგბურთელი იყო, ვინც დელის ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მცირე ჩოგნის ოსტატებად აღიარებულ ჩინელებს. შვეციის პირველმა ჩოგანმა, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა ჩინეთის წარმომადგენელთან წააგო, მშვიდად თქვა: „გამოცდილების შეძენის შემდეგ თვით უძლიერესი ჩინელი ჩოგბურთელებიც კი ვერ მაჯობებენ“.

აი, რას წერს ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელზე გფრ-ის ჟურნალი „ტიმ-ტენისი“, რომელშიც ვალდნერი „ბოთლიდან გადმოსულ ჯინს“ შეადარა. ჟურნალი სვამს კითხვას: „შეეძლო თუ არა შვედს იმაზე უკეთესად ეთამაშა, დელიში რომ ითამაშა? ალბათ, შეეძლო, რადგან ინდოეთის დედაქალაქში იგი მწვავე ვირუსული გრიპით დაავადებული, სიცხიანი თამაშობდა“.

თუმცა, მას მაინც გვარიანად გაუმართლა: იოლი მეტოქეები შეხვდა და თვით ავადმყოფობაც წაეხმარა, რადგან ავადმყოფს სათვალეში არავინ აგდებდა. თუმცა მისგან, როგორც „ევროპა-82“ ჩემპიონატის ფინალისტისაგან (გადამწყვეტი ბრძოლა თანამემამულე ატელგრენთან მეხუთე პარტიაში წააგო — 19:21) მეტს ელოდნენ.

— როცა ფავორიტად არავინ გთვლის, გაცილებით უკეთ თამაშობ, — თქვა ვალდნერმა. ყველას კარგად ახსოვს წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მისი მეოთხედფინალური მატჩი ჩინეთის წარმომადგენელ ლონკანთან. შვედი, რომელსაც მაგიდიდან ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევია უკან, ყველას ანცვიფრებდა ძლიერი უკუდარტყუმებით (განსაკუთრებით მარჯვნიდან) და გამარჯვებისაკენ სწრაფვით. ლონკანის კვალდაკვალ მან კიდევ ერთი ჩინელი ჩამოიცილა გზიდან — ტან ის მესამე გადამწყვეტ პარტიაში დაიყრევინა ფარ-ხმალი — 21:9.

ვალდნერი პატივს სცემს მეტოქეს. აი, რა თქვა მან მსოფლიო ჩემპიონ ჩინელ ჩუან ჩუალიანზე, რომელსაც პირველი პარტია მოუგო, გადამწყვეტი კი ანგარიშით 22:24 „დაუთმო“. „ჩუალიანი ძლიერი პიროვნებაა, გამარჯვებისაკენ დაუოკებლად ისწრაფვის, ყოველ წამს შეუძლია შეცვალოს თამაშის ტაქტიკა, თუ წინასწარ არჩეულს წარმატება არ მოაქვს“.

ინდოეთის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის შემდეგ ავადმყოფობამ დაღი დაასვა მსოფლიო ვიცეჩემპიონის ჯანმრთელობას. მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება, ვინაიდან ვალდნერი ნებისყოფის სიმტკიცით არ ჩამოუვარდება ჩინელ მსოფლიო ჩემპიონს. ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ შვედი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვების ერთერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება. იგი ხომ მხოლოდ 21 წლისაა.

(საკდესი).

რჩება ორი ჩემპიონი

მაიკლ სპინქსის დისკვალიფიკაციის შემდეგ (მან მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალურ პრეტენდენტთან შეხვედრა არ მოინდომა) დარჩა ორი მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალი მოკრივე. ახლა მაიკლ ტაისონს მსოფლიო ჩემპიონად ცნობენ „უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნი“ და „უორლდ ბოქსინგ ასოციეიშნი“, ტონი ტაკერს კი — „ინტერნეიშნლ ბოქსინგ ფედერეიშნი“.

ამ დღეებში 20 წლის მაიკ ტაისონი ლას-ვეგასის რინგზე შეხვდა 29 წლის პრეტენდენტ პინკლონ თომასს. განზრახული იყო 15-რაუნდიანი მატჩის ჩატარება. ინიციატივას სწრაფი და აგრესიული მსოფლიო ჩემპიონი დაეუფლა. მან უძლიერესი დარტყმებით გააოგნა თომასი და მეექვსე რაუნდში ნოკაუტით დაამთავრა ბრძოლა. ტაისონს მართლაც დიდი სპორტული მიღწევები აქვს. მან, როგორც პროფესიონალმა მოკრივემ, 30 მატჩი გამართა და ოცდაათივე მოიგო, აქედან 27 (!) ნოკაუტით.

იმავე ლას-ვეგასში მსოფლიო ჩემპიონი ტონი ტაკერი შეხვდა პრეტენდენტ ჯეიმს დუგლასს. ეს მატჩიც 15-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეათე რაუნდში ნოკაუტით მსოფლიო ჩემპიონმა გაიმარჯვა.

მიღებულია გადაწყვეტილება 1 აგვისტოს მაიკ ტაისონისა და ტონი ტაკერის მატჩის გამართვის შესახებ.

უეინ გრეცკი — საუკეთესო

ოტავა. ჰოკეის ეროვნული ლიგის საუკეთესო მოთამაშედ დასაჯელებულია 26 წლის კანადელი ფორვარდი უეინ გრეცკი. მან, ამავე დროს, მიიღო სპეციალური პრიზი, როგორც საუკეთესო თავდამსხმელმა. მეკარეთა შორის უძლიერესად რონ ჰეკსტალი („ფილადელფია ფლაიერზი“) მიიჩნიეს, მცველებში კი უპირატესობა რეი ბურკეს („ბოსტონ ბრიუინზი“) მიანიჭეს.

„ყველა ვარსკვლავთა“ ნაკრებში ჟურნალისტებმა აღნიშნული ჰოკეისტების გარდა მარკ ჰოუ („ფილადელფია“), იარი კური („ედმონტონ ოილერზი“) და მიშელ გულე („კებეკ ნორდიკსი“) შეიყვანეს.

„სპორტპროგნოზი“

24 მაისის შედეგები

(13-14 ივნისი)

1-1, 2-1, 3-X, 4-2, 5-1, 6-2, 7-2, 8-X 9-1, 10-1, 11-2, 12-2, 13-X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

საბჭოთა მწვრთნელის დახმარებით

გვინეა-ბისაუ პატარა რესპუბლიკაა აფრიკის ვეებერთელა კონტინენტზე. აქ სამი წლის წინათ ადგილობრივი კალათბურთელების მოსამზადებლად ჩავიდა ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი, მოუხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ივანე ედეშკო. ჟი სამი წლის განმავლობაში ამზადებდა არმიელთა გუნდს („შავი პარსკვლავი“) და ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს.

წლეულს კონტრაქტის ვადა ამოიწურა და საბჭოთა სპეციალისტი შინ დაბრუნდა. ედეშკოს მიერ მომზადებული არმიელთა კოლექტივი დღეს ერთ-ერთი უძლიერესია ბისაუში და ქვეყნის იუნიორთა ნაკრებს წარმოადგენს. ამას წინათ „შავმა ვარსკვლავმა“ აფრიკის რვა ქვეყნის მონაწილეთა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირში სამპატიო მესამე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, მსგავსი წარმატებით გვინეა-ბისაუს ეროვნული ნაკრებიც ვერ დაიკვეხნის, თუმცა კი ბოლო 6 თვის მანძილზე საბჭოთა მწვრთნელმა ამ გუნდთანაც საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 33-ე ტირაჟებისა, რომლებიც 7 ივნისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6-45“-დან: გაიყიდა 738 219 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (25 ბარათი) მოგება 2 438 მანეთია, ოთხისთვის (1635) — 40, სამისთვის (31637) — 3.

„სპორტლოტო 5-36“-დან: გაიყიდა 6 747 208 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია. ოთხისთვის (8 746) — 139, სამისთვის (166 335) — 7.

23-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 22 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

• • •

გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 34-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 28 (ტყვიის სროლა), 38 (მთამსვლელობა), 40 (რიკაობა), 43 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 27 (შშვილდოსნობა).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მარაჯი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ებეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 07895